ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№38. 38243193**

თარიღი:**14/11/2024**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, 61-ე მუხლის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N95 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ანა მოსულიშვილი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ'' ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 თებერვლის N№38. 38240546 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6).

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი